ხელშეკრულება № 20

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება

ქ. გურჯაანი 09 თებერვალი 2012 წელი

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ამაზანი-მ" მდებარე ქ. გურჯაანი სარაჯიშვილის ქუჩა №58 მისი დირექტორის ალექსანდრე იმერლიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „საპროექტო ტექნოლოგიური ბიურო" მდებარე ქ. თბილისი კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა №8, წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზ ქებულაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") – „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი ან ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის №37 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით ქვემო ალაზნის მაგისტრალურ არხზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების (ღვარსაშვების, დიუკერების, გალერეების) წმენდა ნალექისაგან – სამუშაოების პროექტის მომზადება.

3. შესრულების ვადები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მოამზადოს და გადასცეს შემსყიდველს არაუგვიანეს 2012 წლის 16 მარტისა.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4 000 (ოთხი ათასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების გათვალისწინებით.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და მიღება-ჩაბარება

5.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
5.2. „მიმწოდებელთან" ანგარ იშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

GEORGIA * 231281564 * "ALAZANI-M" LTD *

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
7.2. „მიმწოდებელი" აბარებს „შემსყიდველს" ტექნიკურ დოკუმენტაციის 3 (სამი) ეგზემპლიარს: ერთი სატენდერო და ელექტრონული ვერსია, ერთი ეგზემპლიარი.
7.3. მიღება-ჩაბარების აქტის არ არსებობის შემთხვევაში „მიმწოდებელს" შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 15 (ხუთმეტი) დღის განმავლობაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტაცია.
8.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების გაცვით;
8.3. „მიმწოდებული" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს" ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
8.4. „მიმწოდებული" ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ვალდებულების შესრულება ხელშეკრულების შესაბამისად.
8.5. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებულს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.1%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულები ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%(ათი)-ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია 11.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს მხარეთა ინიციატივა, ურთიერთშეთანხმება.

შემსყიდველი: | მიმწოდებელი:

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარეა არ თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის ----- --------- და მოქმედებს 2012 წლის 16 მარტის ჩათვლით

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს "ალაზანი-მ"	
მისამართი: ქ თელავი, ალაზნის	**შპს** „საპროექტო ტექნოლოგიური ბიურო"
გამზირი (აჩინებული)	მისამართი: ქ. თბილისი 0177
E-mail: alazani_m@yahoo.com	კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა №8
საიდ. კოდი№ 231281564	საიდ. კოდი№ 203823728
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკის"	სს "საქართველოს ბანკის"
ცენტრალური ფილიალი	ცენტრალური ფილიალი
მფო BAGAGE22	მფო BAGAGE22
ანგარიშის №GE55BG0000000182945700	ანგარიშის №GE22BG0000000115046100
_____	_____
ა. [illegible]	თ. ქებულაძე
დირექტორი	დირექტორი